

ზინაური საქმეებზე

ყოველკვირული გაზეთი.

№ 20.

კვირა, სექტემბრის 28, 1908 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.
ნასაკარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.
ადრინი: ქუთაისი „ზინაური საქმეების“
რედაქცია.

ზინაურის რას გვასწავლის ტრიანდოფილიდისის საზოგადოებრივი მოქმედება—ბოსნიისა; რა დროში ვართ—ტონკელისა; სად მივყევართ—ივერიელისა; ვუძღვნი ალექსი ბერს (ლექსი)—დათიკო კიპაძისა; ანლო-მანლო—კირილე წუთისოფელისა; ქართველ ქალთა საყურადღებოდ—ნ. მკურნალისა; ქრისტიანული აღზრდა ნები-სა (თარგმანი)—ე. ჩ.—ძე-სა; ბალიშის პირი—კინკილეთელისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მოშორებას

წარმომადგენელს ქუჩისა და წლიური ფასი.

ყოველკვირული გაზეთი

„ზინაური საქმეებზე“

ხელის მოშორება მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

რას გვასწავლის იგივე ტრიანდოფილიდისის საზოგადოებრივი მოქმედება.

ჩვენ შეითხველებს ბევრს არ ეცოდინება ის ფრიად სამწუხაროდ და შემდგრადი აღიარებული ამბავი, რომელიც ამ დღეებში დატრიალდა ქალაქ ბათუმში. ჩვენ ვაძიებთ ექიმ ტრიანდოფილიდისის მსეცურ მკვლევლობის შესახებ, გარდა იმისა, რომ ეს მკვლევლობა უმჯობესობა, იგი ზედმეწინით ახასიათებს ჩვენ დროს, ჩვენ მ-

ტრიანდოფილიდისის, რომელსაც აღარ ეტეობა აღარაფერი აღნიშნული, ზენაური, რომლის იდეალი არაფრით აღარ განიხივებ ზირუტეობა მდებარე მისწრაფებისგან, თუ რა შესვას რა შექმნოს და რით დახედავთ იფილოს თავის მეფე, თავის მბრძანებელი ღმერთი, თავის კუჭი.

ექიმი ტრიანდოფილიდისი, როგორც კადმოვცემენ იყო ერთი იმ იშვიათ კვამთაგანი, რომლებიც იმსახურებენ საერთო სიუვარულს და განწყობილებას, რომელიც მდლიანი მოღვაწეობა ეველას სწავლებს, განურჩევლად ქონებისა და წოდებისა. ბევრი ბედისგან დაჩაგრული გლოვს მასში თავის მოწველეს, თავის გულშემატკივარ მძმას. ის, როგორც ამბობენ, არ ეკუთვნოდა იმ ექიმთა გუნდს, რომლებსაც თავის ექიმობა სავსტრო სავსად კადრუცევიანთ და კულტრილად

ქუთაისის საბურთალო რედაქციაში
ბიბლიოთეკა



მიანის ტანჯვას, რომელსაც უფლი არა აქვს იეიდოს მითი საქონელი. თქვენ შეიძლება არ დაიჯეროთ, და მე კი სშირად შევერთვარ ისეთ ექიმს, რომელსაც შეძლება ჭქონია ერთი ხელის განმრევით გაეთავისუფლებია ადამიანი აუტანელ ტანჯვისაგან, მაგრამ ეს არ უქნია, რადგან ავანტიურის უფლი ხელათ არ ჭქონია და ექიმს კი თავლები არ მიუღია. ისეთი შემთხვევაც ეოფილა, როცა ერთ ავანტიურისთვის მიუვანილს ექიმს იქვე მწოლარე მუორე ავანტიური არ უნახავს, რადგან განმრავს მის სანახავად არ მოსულან. ასეთ ვაჭარ ექიმებს, ვიმეორებ, არ ეკუთვნოდან თურმე განსვენებული ექიმი ტრინანდოფილიდიდისი. და მით უფრო მსეცურად, მით უფრო ველურად გვიჩვენება მისი მკვლელობა.

№. №. ენკენისთვის, ვიდაც უცნობებმა (შეიძლება ნაცნობებმაც), ვითომ ავანტიურის სანახავად, ეტლით ვაიტყუეს ბ. ტრინანდოფილიდიდისი და ის იყო, მინ აღარ დაბრუნებულა. მას განუცხადეს, რომ იგი დატყვევებულია და გამოსასყიდლად 30 ათასი მანეთი სთხოვეს, რაც მას მოაწერინეს ცოლისთვის. რა თქმა უნდა, ცოლმა აძლენი ფული ვერ იძოვნა და ექიმის მტარვალების სხვერბლი შეიქმნა. რამოდენიმე დღის ტყვეობის შემდეგ იგი ტყვეით მკვდარი ევლგამოდარული იპოვეს სადღაც უაღაგო ალაგას დაგდებული.

კულტურა, ცივილიზაცია, განათლება... მიტრიალებს თავში ეს მუვირალა, მაგრამ სხეობრივი მხრით უმნიშვნელო

სიტუები. ჩვენ ძველ ისტორიიდან გავიგონია, რომ ლეკები დროითი დრო დაეცემოდნენ სოლმე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს და წახსხამდენ ტყვეებს, რომლებიც დასახსხელად საქირო შეიქნებოდან სასყიდელი, მაგრამ იგინი ტყვეს აგრე რიგად არ აწამებდენ და უკიდურეს შემთხვევაში მონად გაიხდიდნენ. აგრეთვე ქართველებსაც სშირად ჩაუვარდებოდნენ სოლმე ხელში ლეკები, მაგრამ თუ სასყიდელს ვერ აიღებდნენ, მისთვის ტყვეს არ კლავდნენ. მერე როდის იყო ეს ამბავი? მაშინ, როდესაც საქართველო და უმეტეს ლეკები ვერ დაიხმებდენ დიდ კულტურას, მაშინ როდესაც ორივე თითქმის ნახევრად ველურები იყვნენ. ესლან? ესლან, როცა ეხად აღებული კულტურით და განათლებით ვამხარტავებთ, როცა ვლანდობთ განჯანორციელოთ ქვეყანაზე მძობანერთობა, როცა გვინდა მოვსპოთ ეოველგვარი ძალდომრეობა, ესლან თვითონ მძები იტყებენ მძას და სასყიდელის ითხოვენ განთავისუფლებისათვის, და უპა-თუ არ მიიღებენ, სასიხდრად ჭკლავენ ტყვეს. ნუ თუ ეს მაგალითი საეძარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ სწავლა განათლება კაცის გულს ვერ ალბობს? ნუ თუ ცხადი არ არის, რომ სწავლა-განათლება ადამიანს ვერ გააკეთილმობილებს, არამედ უკეთეს შემთხვევაში აძლევს სასხარს, რაც შეიძლება, მოხერხებულად ჩიდიინოს განხრახული ბოროტ-მოქმედება და, თუ შეიძლება, სრულიად შეუმჩნეველი დარჩეს? ქველობის და სათ-

ნოების სწავლა შესაძლებელია. შესაძლებელია ვიცოდეთ, რა არის კეთილი, მაგრამ ეს ცოდნა ვერ გახდის ადამიანს ქველმოქმედად, სათნოდ. ცოდნა სხვა არის და ცოდნისა და გვარად მოქცევა სხვა, რომ ცოდნისა და გვარად მოვიქცეთ ამისთვის საჭიროა სხვა უმაღლესი პრინციპი, უმაღლესი მბრძანებელი. და აი სად ქვეს ბოროტმოქმედების საფუძველი, ამ უმაღლეს პრინციპის, უმაღლეს მბრძანებელის უარის ეოფაში. და ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენ ვითომდა კულტურულ ახალგაზდობის; საქციელი, იმ ახალგაზდობის, რომელსაც წინათვეს ის, რაც თავს უკავებდა მათში მჯდომ მსევს. იქნებ ვინმე სთქვას ჩვენში არც ავრე რიგათ განვითარებულა ხალხიო. ჩვენ კიდევ შორს ვართ ევროპის განათლებასედა შეიძლება მართალი იყოს და ჩვენ სხვასე უფრო ადვილად დაგეთანხმებით ამაზე. მაგრამ ნუ დაგვაიწმედება, რომ ჩვენი დღევანდელი კულტურის მძა, ჩვენი ქებული საფრანგეთი და უფრო დიდებული ზარიანი, რომელიც ასეთ მოძიბლავ ძალით იხიდავს ეოველ მსრის და განსაკუთრებით ჩვენ ახალგაზდობას, ეს ზარიანი, ეს კულტურის დაუდევნელი წყარო დღესაც კარგენილების მორევი სცურავს, თუ კარგენილება ქება ისეთ სხეობრივ საქციელს, როგორც არის ქურდობა, ჯიბგრობა, წულთ-მხრწნელობა, ბავშვების მოტაცება იმ მიხნით, რომ დაამხინჯონ, მათხოვრად გახადონ და მათი ხმათხოვრებით ისარგებლონ. არ ვიცი სად და როდის, მაგრამ წამიკითხავს კი, თუ როგორ მოიტაცეს ზარიკის შექმნე-

ემა ერთი ჩასუქებული ექიმი, დაკლეს და კალებასებათ გააკეთეს. აღარ ვიცი, ვახ. იუკრიის თუ ცნობის ფურცლის რომელიდაც ნომერში ამოვიკითხე, თუ როგორ სცადეს ბომბის მოქმედება აფრიკელ ზანგის ზურგზე საფრანგეთის განათლებულმა აფიცრებმა, ან როგორ მოხარშეს ზანგი და აჭამეს მისეუ დედამას და მახლობლებს. ვფიქრობ, სხვასაც განაცინი და წინაკითხი ექნება ეს ფაქტები და თუ ეს მართალია, რამდენი ასეთი მაგალითები უნდა ხდებოდეს იმ მხარეში, სადაც ადამიანი უბრალო ცხოველად მიანხიათ, რომლის დაკვლა არავის რისხვას არ გამოიწვევს. მართლა და თუ ადამიანი უბრალო ცხოველია რა გვიძლის ცხოველის ადვილზე მოვიხმართ იგი: საქმელად დაკვლიათ, როგორც შერებოდნენ ბეული ველურები, ან ხარიკით ვიმსახუროთ როგორც რომაელები და ბერძნები. ვანა რა წინააღმდეგია დღევანდელ მატერიალისტურ მეცნიერების მიხედვით ასეთი საქციელი? ვანა ნიცქე არ ათავისუფლებს ადამიანს ეოველგვარ ზასუსისმტებლობისგან, როცა ეოველგვარ მის მოქმედებას ბუნებრივად და კანონიერად რაცხავს, როცა არ ცნობილობს არავითარ უმაღლეს ბრძანებლობას, როცა არ არჩევს კეთილსა და ბოროტს. და თუ კეთილი და ბოროტი არ არის, არამედ მსოლოდ ზირადი კმაყოფილება, რა მიძლის მე მოკვლა ჩემი მძა ჩემი სიამოვნებისათვის? ვანისენეთ უღეთო ნურანი, რომელსაც ასე სწუროდა, რომ მთელ კაცობრიობას ერთი თავი ქქონოდა, რომ ხმლის ერთი მე-

მოკვრით გაგებინებია. ან რით უწუ-
ნებთ მას და სხვა მტარვლებს. რო-
ცა იგინი თავის სასიამოვნოთ, თავის
განცხრომისათვის მხეცებთან და აბრძოლე-
ბდნენ ქრისტიანებს? როგორ მოგწონთ ცო-
ცხალი კაცის ბაღებში ჩისადღნებათ ხმა-
რება? და რა საფუძველი ჰქონდა ამ მხე-
ცურ საქციელს, კარდა უღთობის, კარ-
და იძისა რომ ნერონს არ სწამდა არავი-
თარი ღმერთი. და აი დღესაც ნაყოფი ასა-
ლი სწავლა მეცნიერებისა, ნაყოფი ურ-
წმუნობის ქაღაცებისა, ნაყოფი ქრისტიან-
უბრალო მოტყუებუე ჰროზაგანდისტის სა-
რისხე ჩამოყვანისა. და ეს მიზეზები
არა თუ ესაა იხენს ასეთ შედეგებს, როცა
ჩვენი საღისი ჯერ კიდევ კულტურულად
ძალიან დაქვეითებულია, არამედ მაშინაც კი
გიმოიჩინეს როცა სწავლა განათლება ფა-
რთოდ მოუყენებთ საზოგადოებას. და უფ-
რო მაშინ, როგორც ამას ვხედავთ კულ-
ტურულ საფრანგეთში. ეოველ შემთხვევაში
იცოდენ ჩვენმა ურწმუნო ჰროზაგანდისტი-
ებმა, რომ ეს სასიხლარი მკვლელობა, მკვლე-
ლობა ექიმ ტრიანდროფილიდისისა ჰირდა-
შირი შედეგია მათი მოძღვრებისა, ჰირწა-
ვარდნილი შვილია მატერიალიზმისა. ეს
არ არის ჰირველი მაგალითი და არც
უკანასკნელი იქნება მანამ, სანამ ჩვენი
დღევანდელი მოწამლული თაობა სულ არ
გადავა და არ აღსდგება ასაღი, აღსრდილი
ქრისტიან მოძღვრებასე.

ბოსლემელი.

რა დროში ვართ?

(შემდეგი*)

II.

მერე და რომელმა ბოროტმა სულმა დაგვ-
წყევლა ასე შეუბრალებლად? რამ გადაგვრია?!
რამ გაგვანადგურა ასე სულიერად?! ამბობენ
ქვიანები, რომ თუ ღმერთს ადამიანის დასჯა
უნდა, პირველად ჰკუას წაართმევსო! სწორეთ
მართალია და ზედ გამოჭრილიც ეს ჩვენს ეგ-
რეთწოდებულ ახალ მოძღვრებზე, რომლე-
ბიც დაგვიბადა იმ ბედნიერმა „განმათავისუ-
ფლებელმა მოძრაობამ.“ უთუოდ ჩვენ განსა-
თავისუფლებლად მოველინენ ეს მოძღვარ-
ნი და კიდევ გაგვათავისუფლეს?! რისგან? რო-
დის? სად? მკითხავთ თქვენ. რისგან?! როგორ
თუ რისგან?! ყველაფრისგან! განგვათავისუფ-
ლეს ნამუსისაგან და სინდისისაგან. აბა კარ-
გად მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, დააკვირდით,
ვის-ღა შერჩენია სინდისი და ნამუსი! არავის
განა?! ჰოდა ესეც ერთი ღვაწლი „განმათავი-
სუფლებლებისა!“ ქება და ღიღება მათ! დღეს
ყური არავის აღარ უწითლდება, თუ გინდ
პირი ფურთხით აუვსე, — მოიხოცავს, გაიდრი-
ჯება და გაბრუნდება!

განგვათავისუფლეს პატიოსნებისაგან, ადა-
მიანობისაგან, ზრდილობისაგან, დარბაისლოპი-
საგან! აბა მიიხედე ბრბოსკენ! შეხედე, რო-
გორ იღრიჯება ერთი?! როგორ ცმუტავს და
იგრიხება მეორე?! როგორ უაზროდ ხითხითებს
მესამე და არც იცის, რაზე?! აგერ შეხედე სარ-
ღაფიდან ამოსული „ბოსიაკი“ მისდევს ქვეყნის
ღიღებას, — მეცნიერების მნათობს — პრთფეს-
სორს და ქვას სვრის, ან აფურთხებს! იქით
მღვდელს გაჰკიდებიან და რაებს არ კადრუ-
ლობენ! მერე რატომ? ანაფორაში რაკი ხარ
და ჩვენსავით ორმოში არ ამოსვრილხარ, ადა-
მიანი აღარა ხარო! ექვსი წლის ბიჭი მოსდევს
ღიღებულს მღვდელმთავარს და ზურგში თოვლს
სვრის! იქ, პლატფორმაზე, ბრბო შეკრებილა და
გამველ-გამომველს ქოთნებით და ვედრე-
ბით წუმბეს ასხამს თავზე. აგერ გაიარა ქაღა-

*) ის. „შინ. საქ.“ № 7.

რა მგოსანმა, ან საზოგადო ძველმა მოღვაწემ და ბრბო „უუუ“-ს ძახილით მიეგება! კიდევ იქ მიცვალებულს მოასვენებენ: ვინაა ეს? ერთად ერთი შვილი გაქვირებული დედასა. მერე რა გრძნობითაა გამსქვალული ბრბო, რომელიც გარს ახვევია და მისდევს? პაპიროზებით ხელში შემოსვლიან კუბოს და აბოლებენ პირში მიცვალებულს, ქუდი არავის არ მოუხდია, გზაზე საარშიყო სიმღერებს მიიმღერიან. წინ ვილაცა შეხვდათ ტალახში, წუმპეში ჩასცეს და ზედ დახითხითებენ! აგერ მობრუნდი კიდევ, წინ ათასი უბრალო, დაბალი პირი შეგხვდა და არც ერთმა გაპარჯობა არ გითხრა, სალამი არ მოგცა, ისე ვერანად გვერდს გაგვიარეს. დამარებული მოდიხარ თავჩაქინდრული და ბუტბუტებ შენთვის: „გაპირუტყვდა, გაპირუტყვდა ხალხი! განადირდა, გავერანდა საზოგადოება!...“

გაგვათავისუფლეს ქრისტიანული გრძნობისაგან და მოვალეობისაგან, ე. ი. იმისაგან, რაც იესო ქრისტემ დაგვაძალა, როგორც ადამიანებს. არ გჯერათ?! ურწმუნო თომებო! შეხედეთ აი იქ ვის მოასვენებენ? ცხედარი მიაქვთ! ვინ მიუძღვის? ნოქრები! რას გალობენ? ოდელიას და ახბალაბალას! იქ? ქორწილია. მღვდელი? მღვდელი რისი მაქნისია? ეკლესია? ეკლესია მითომ აი იმ ოდას სჯობია, შიგ რომ ქეიფობენ?! ლოცვა-კურთხევა?! საქმე გამოგელია?! კავშირი საუკუნო? კანტრაქტი ცხრა წლით და მისი გვერდი! მერე? მერე სხვა ივაქრებს, ცოტას მოუმატებს და ის ისარგებლებს! მერე? მერე კიდევ სხვა: ფრანგი ან თათარი, ვინც შეხვდება! ბავშვები? „პრიუტში“, ბატონო! დედა?! დედა სადაა! მოსამსახურე ჰურს აქმევს და გინდა დედა უძახოს, და გინდა ბები! მერე ძმა და და რომ შეხვდენ და ცოლქმრად შეიყარონ?! კეთილი! სისხლი? სისხლი ისევ წითელი იქნება! როგორც ძროხის და მოზერის განა?! ჰა, შე ვერანა, შე ნადირო, შენა! წაგართვა კკუა ღმერთმა? მერე რა ცოლვა ჰქენი ასეთი!..

გაგვათავისუფლეს სულის სიმშვიდისაგან. არც ეს გჯერა?! აბა ჩაიხედეთ გულში? რა იპოვეთ იქ? ჯოჯოხეთი განა?! დიად! სიმ-

შვიდე? სადღაა?! ჰოდა მაშასადამე განთავისუფლებულხართ მისგან და მეც მაგას მოგახსენებდი.

განგვათავისუფლეს უფროსისგან, ბატონისგან. დღეს ხომ მაშა—შვილია, შვილი—მაშა, დედა—ქალიშვილი, ქალი—დედა, ბიჭი—ბატონი, მოსამსახურე—აღა, ყველა უფლია! ცოტა მონასტერი კი აირია, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლებაა, თავისუფლება! შენ ეტყვი „წადის“, ის მიდის, ეტყვი „მოდის“ ის მიდის! ეტყვი „მოიტანე“, მას იქით მიაქვს! შენ სკოლაში აგზავნი, ის ბილიარდზე თამაშობს! წიგნისთვის ფული მიეცი, მან პაპიროსი იყიდა, ან დუქნში იქეიფა!

ახლა ფულო?! ამისგან ხომ გაგვათავისუფლეს და გაგვათავისუფლეს პირწმინდათ! სამაგიეროდ შიმშილი შეგვძინეს და ესეც უფულოდ ღვაწლი! მართალია თვითონაც მარხულობენ, მაგრამ სიტყვას აღბად საქმით ამტკიცებენ და მიტომ! ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვლარ არსო“!..

მაგრამ არც აქ თავდება ეს დიდი ღვაწლი. შეგვძინეს კოტრობასთან და ნივთიერ შიმშილობასთან სულიერი სიღატაკეც! სხვა? ბევრისგან ბევრი ბიწიერება: განხრწნა, ქურდობა, ავაზაკობა, შანტაჟი, შაურისთვის კაცის კვლა, უბრალო წყენისთვის მთელი ოჯახის ამოწყვეტა, უსაქმობა, უზრდელობა, უზნეობა, ტუტუტულობა, გაველურება, სიგიჟე, დაღრეჯილობა, კენესა, ტირილი, ცახე, ჩრდილოეთში ეკსკურსია, ოჯახების აწიოკება, მამულების გავერანება, პირუტყული გრძნობა, გაუტანლობა და სხვა ათასი ღვაწლი!..

ტონკველი.

(შემდეგი იქნება.)



ს ა ლ მ ი ვ ე ე ვ ა რ თ ?

ყოველს ერს, რომელიც კულტურულად არ დატეხულა, აქვს ცოტა რამ ნიშანწყალი

ცხოვრებისა; რომლის სიკაცხლე ერთს წერტილზე არ შეჩერებულა, ჰყოლია, ჰყავს და ეყოლება ისეთი შვილები, რომელნიც ღვთის მიერ მომადლებულ ნიჭით, სამაგალითო ხასიათის სიმტკიცით და შეუპოვარის გაბედულობით თავში უღვრიან ეროვნულს საქმიანებას, წინამორბედ ვარსკვლავებად ჩნდებიან ცხოვრებაში და აწოდებენ საზოგადოებას კაცობრიობისადმი სიყვარულის აღმძვრელს იდეებს. ასეთი პირნი თავის განათლებით, გონებით და შორს გამქვრეტელობით მალა, ძლიერ მალა სდგანან თანამედროვე საზოგადოებაზე; მათს მოქმედებას აღმაცურად შეჰყურებს ჯერ კიდევ განუვითარებელი საზოგადოება და ამნაირად ეს წინამორბედნი ხალხის ბედნიერებისა უღაბნოში გრძნობენ თავს და განიცდიან მრავალს ტანჯვას და მწუხარებასა. მიუხედავად ამისა მათ მიერ ერთხელვე ანთებული სანთელი არ ქრება და სანათის ქვეშ თვით მწუხარებას დიდ სიამოვნებად დაისაბავენ და თავს მადლიერნი, გრძნობენ კიდევაც ამ სიამოვნებას, რომელიც აცოცხლებს და ახალისებს მათ.

მოღვაწეობა არის ორნაირი: თეორეტიული და პრაქტიკული. პირველის წარმომადგენელნი არიან აღჭურვილნი ზეგარდმო არსით მობერილი ნიჭით; მათ უფრო ემარჯვება წერით გამოთქმა გულის პასუხისა; ისინი ბექდვითი სიტყვით ამცნევენ კაცობრიობას თავის იდეებს და ამ ნაირად თეორეტიულად უხატავენ საზოგადოებას მომავალი ცხოვრების საუკეთესო სახეს. მეორეს წარმომადგენელნი კი უმაღლესი ნიჭის ანუ, როგორც უწოდებენ, ტალანტის არ მქონენი, თვით სასურველი ცხოვრების სახით და ქველმოქმედებით ემსახურებიან საზოგადოებას და მიუხედავად იმისა, რომ პირველნი თავის ღირსებით უფრო მალა სდგანან მათზე, მაინც უკვდავნი და მარად სახსენებელნი არიან ერის ხსოვნაში.

ყოველი, ჯერ კიდევ სასწავლებელში მყოფი, ახალგაზდა, მინამ იგი არ შებრძოლებია ცხოვრების ტალღებს, ფიქრობს, ძლიერ აღტაცებულად ფიქრობს, ემსახუროს კაცობრიობას; თავისის მოქმედებით წინ წასწიოს საზო-

გადოების საქმიანობა, ნათელი მოჰქინოს მიზნულს ცხოვრებას და ამ სახით თვალსაჩინოდ ჰყოს თავის სახელი ერის ცხოვრებაში. მაგრამ სიტყვა და საქმე, სურვილი და ამ სურვილის განხორციელება, სულ სხვაა... გამოვლენ რა ცხოვრებაში ერთი ნაწილი კეთილის სურვილით აღჭურვილის ახალ-გაზდობის, მტკიცე რწმენას მოკლებულნი, ცხოვრების ტალღებთან პირველ შეტაკებისათავე განიცდიან საშინელს ნავთდანთქმას და იქვეიან ერის მტარცველ ქურდ-ბაცაცებად, მის სიხლის მწოველ წურბლებად. — მეორე ნაწილი ამ ახალ-გაზდობისა, ხასიათის სიმტკიცეს მოკლებულნი და უაზრო თავმოყვარეობით გატაცებულნი თავის მოქმედებაში უერთდებიან განუვითარებელს ბრბოს და ისე მოქმედებენ, როგორც მას ესიამოვნება, თუნდაც ასეთი მოქმედება დამღუპველი იყოს საზოგადოებისა. ამ ახალ-გაზდობას არ შესწევს მეტი ძალი, თუმცა მისი ჰირისუფლება კი სწაღია; მას სურს ხელით მისათითებელი გახდეს, უყვარდეს ერს, პატივს ხცემდეს მას, ხშირად ახსენებდეს მის სახელს, ყოველს დანახვაზე ხელით უთითებდენ მანზე და ამ დიდების მოყვარეობით გამსკვალული სულით და გულით უეოთდება თანამედროვე საზოგადოებას, — მოქმედებს ისე როგორც მას ეამება, უკრავს ტაშს, თუ კი ამითი ბრბოს ასიამოვნებს. ასეთი ჯურის მოღვაწეთ არ შესწევს მხილვითი ნიჭი; ისინი უძლურნი არიან ასეოს საქმეში და თავის მოქმედებით არა თუ ხელს უწყობენ საზოგადოების კეთილდღეობის საქმეს, არამედ უფრო აბნელებენ მას. ასეთი მოღვაწეები ემსგავსებიან ურწყულს ღრუბლებს, — რომელნიც ტყუილ სიტყვით ვაჭრობენ ხალხთან და უცბრომელ ცოდვით აცდუნებენ დაუმტკიცებელს საზოგადოებას, რომელნიც თავისუფლებას აღუთქმენ ხალხს და თით კი მონა არიან ხრწნილებისა. — ესენი სწერენ კიდევაც, მაგრამ მხოლოდ მეტყველებისათვის; ეს წერა და ეს მეტყველება იმოდენად სასარგებლოა, რამოდენადაც აკმაყოფილებს დამწერის და მეტყველის უაზრო თავმოყვარეობას. — ესენი არიან ნამდვილი მტერნი და მაცდურნი ერისანი; ესენი არიან მტერ-მოყვარენი, რომლებზედაც

ბრძანა რუსთაველმა: „მოყვარე-მტერი ყოვლისა მტერზედა უარესია“.

ხოლო არის შესამე რიგის რჩეული ახალგაზღვრა, რომელიც, გადის რა საზოგადოების სამსახურო მოედანზე, აღრევე აქვს შეგნებულ იმ მსახურების ტვირთის სიმძიმე. იგი იმ თავითვე ცდილობს თავის ქვემარტად განვითარებას და მიზნის მისაღწევად არ ჰკარგავს არც ერთს საათს, არც ერთს დღეს; იგი საათობით, წუთობით ანგარიშობს თავის დღეთა მსვლელობას დი ცდილობს უნაყოფოდ არ წაუვიდეს არც ერთი წუთი, არც ერთი წიმი; მას არ სცალია უაზრო ტრფობისათვის, მას არ სწამს უთავბოლოდ ქუჩებში ხეტიალი; იგი არ ერევა სამსახურო საზოგადოებაში. — მას სწამს მხოლოდ ერთი: მსახურება საზოგადოებისა, კეთილი კაცობრიობისათვის. და ამ მიზნის მისაღწევად ამზადებს თავს, იღებს ღრმა განათლებას; სცდილობს ხასიათის სიმტკიცეს, სურს გახდეს ნამდვილი ადამიანი; ერიდება ორპირობას, იძენს პირდაპირობას... ასეთი მოღვაწენი, რასაკვირველია, უშიშრად, შეუბოვრად გადიან ცხოვრებაში, რადგანაც შესწევთ საკმაო ძალი. მათთვის საჭირო არ არის საზოგადოების ტაში; ისინი არ ემონებიან ძლიერთა ამა სოფლისათა; მათა გესლიანი ისარი მიმართულია უსამართლოებისაკენ და იმოდენად გრძობენ სიამოვნებას რამოდენადაც სკრის ეს ისარი... იმათ არ იციან შური და მტრობა... ესენი არიან, რომელნიც მათის საუნჯის ქურდებს, მათზე სასიკვდილოდ მოვლენილს ჯალათებს, ცხოვრების გამანადგურებელ ყაჩაღებს სულგრძელობით უყურებენ, სიყვარულს და სიბრალულს გრძობენ მათდამი იმ მოსაზრებით, რომ ესენი არიან შეილნი უსამართლოებისა და ძალმომრეობისა.

ასეთი რიგი მოღვაწეებისა სანთელია ამა ქვეყნისა, რომელნიც სამაგალითო სიტყვით და ცხოვრებით ზნეობრივად წვრთნიან და ამალღებენ კაცობრიობას; გაფაუციებით აღფენებენ თვალს ხალხის ზნეობას და თუ შენიშნეს, საშინელის გაბედულობით გაილაშქრებენ წინააღმდეგ უზნეობისა, დარწმუნებულნი, რომ უზნეობა არის მიზეზი ყოველი უბედურებისა

სა... ესენი არიან მარილი, რომელიც საშინელის სისწრაფით ღებება სითხეში და აძლევს მას გემოვნებას, — ესენი არიან მარილი, რომელიც ჭვარტლზე დაკიდებულს შაშხსაც აო ერიდება და იცავს მას გამხრწნელის ქიამატლებისაგან. — ესენი მალა სდგანან საზოგადოებაზე, როგორც მთვარე ბნელზე, და ჰფენენ მას თავის სიბრძნის შუქებს სწორედ ისე, როგორც მზე ჰფენს თავის ცხოველყოფელ სხივებს, მთელს ქვეყნიერებას. რასაკვირველია ასეთი მოღვაწეების მოქმედება ნაყოფიერია და დიდათ სასარგებლო საზოგადოებისათვის და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვინატროთ, რომ მრავალი იქნეს ასეთი მოღვაწეების რიცხვი...

ვისაც თვალყური უდევნებია ქართველი ერის ცხოვრებისათვის და იცნობს მის ლიტერატურას დარწმუნდება, რომ ზემოთქმული მესამე რიგის მოღვაწეები ჰყოლია მას. ი ქვეყნად, გაბრიელ ეპისკოპოსი, გიორგი ერისთავი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე სამსონ თოფურია და სხვ. არიან საუკეთესო წარმოდგენილი თეორეტიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობისა. ამათმა შექმნეს მთელი ეპოქა ქართულს ცხოვრებაში. ესენი იყვნენ ფხიზელნი დარაჯნი ხალხის ზნეობისა. ამათმა აღზარდეს ხალხი და გადასცეს შემდეგს თაობას... ჰყავს თუ არა დღესაც ქართველ ერს ნამდვილნი ქირისუფალნი, მისი ზნეობის მქადაგებელნი და ძარცვა-რბევის და უზნეობის უარყოფელნი? — დიახ ჰყავს... მაგრამ მათ გვერდით გამოჩნდა ერთი ჯგუფი მოღვაწეებისა, რომელთაც უკულმა მომართეს ჩანგის სიმები და ლამის უზნეობით და ბოროტ მოქმედებით გაუღენთონ ჩვენი საზოგადოება!! ჩვენ მოვახსენებთ ივანე გომართელზე და მის ლაშქარზე. მაგრამ სანამ სიტყვას გავაგრძელებდე, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ პირადათ ივანე გომართელთან არავითარი საქმე არა გვაქვს და თუ ვასახელებთ მას ეს იმისთვის, რომ ჩვენის აზრით იგი არის მთავარი ბელადი ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც მასთან ერთად ურცხვ გაბედულობით და

სითამამით აყვირებენ საყვირს უღმრთოებისა და უზნეობისას...

1905 წლამდე ი. გომართელს ვიცნობდით როგორც ნიჭიერს ექიმა და ავტორს რამოდენიმე წერილისას. 1905 წელს კი მან გაგვაცნო თავი, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ და ჩვენც დიდს სიხარულით და იმედებით მივეგებეთ ასეთს მოვლენას მით უმეტეს, რომ წარსულის მოგონებით სრული იმედით გვქონდა, რომ ი. გომართელი შექმნიდა ნამდვილს, გონიერს მიმართულებას და მოქმედებას, რომელიც ჩვენის ქვეყნისათვის ძლიერ სასარგებლოდ დარჩებოდა. და თუ რამ უწესობა, თავდაცემა, ან მკვლელობა მოხდებოდა, რაც ხშირი იყო არეულობის დროს, ყველას იმედი ჰქონდა რომ ი. გომართელი მიიღებდა ზომებს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. საზოგადოებაში ხშირად შეხვედვოდით ასეთს მოქმედებს: „თუ ვისმეს ბოიკოტი ან სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი, გომართელს მიმართეთ, ის დაგიხსნისთო“. ჩვენ, რასაკვირველია, არც მაშინ და არც ეხლა გვჯერა, რომ ი. გომართელი ყოფილიყოს კაცის მკვლელთა მთავარი სარდალი; მხოლოდ აღნიშნავ იმ გარემოებას, რომ ი. გომართელმა ქართველი ერის უმეტესობის შეხედულობა და იმედი ვერ გაამართლა. — ნაცვლად მაღალის ზნეობის ქადაგებისა და თავის მოქმედებით იმავე ქადაგების განხორციელებისა, მან იწყო უღმრთოების და უზნეობის ქადაგება. ეს ცოტაა, მან ომი გამოუცხადა ღმერთს და ეკლესიას და ამ ომში იგი დღესაც პირველი სარდალია, თუმცა არ ვიცი რითი გათავადება ეს ომი. უღმრთოების ქადაგებით იგი უზნეობას ქადაგებს, ზნეობრივად რყენის ხალხს და ამ მოსაზრებით იგი არის პირველი მტერი საქართველოსი, ისეთი მტერი, როგორიც მას არ ჰყოლია დაარსებიდგანვე. მაგრამ თავის უღმრთოებას რომ თვითონ იტოვებდეს, როგორც განსხვავებული სინილის მექონე (!) და სხვას არ აჩრიდეს სახალხო უნივერსიტეტში უაზრო და უსაფუძვლო ლექციების ყრანტალით, კიდევ არაფერს ვიტყვოდით. არც იმაზე ვიტყვოდით რამეს, რომ მას

ჰყავს თავის წრეში საკუთარი თანამოაზრენი, სახელმწიფო სათათბიროში მომქმედნი, რომელთა საშვალებით თავისი შესანიშნავი თეორია უღმრთოებისა და უზნეობისა ქართველ ერის წარმომადგენლის სახელით მთელს რუსეთს ამცნო (ვაი სირცხვილო და თავსლადსხმა!!) მაშინ, როდესაც ყოველი ერის წარმომადგენელი, და მათ შორის მაჰმადიანნი და სტარობრიადცებიც, კი ცდილობენ და კამათობენ თავის ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, აი როგორ სწერენ ქართველ დებუტატზე რუსულ გაზეთში: „Кавказский депутат Чхеидзе, который возсѣдаетъ въ Государственной Думѣ въ качествѣ, конечно соціалъ-демократа, позволилъ себѣ гнусную и кощунственную выходку по адресу православной церкви и грубое глумленіе надъ религіознымъ чувствомъ русскаго народа... Возмущенные кощунственной выходкой русскіе депутаты исключили Чхеидзе изъ думы на 15 засѣданіи. აი ამაზე ითქმის სწორეთ: „ვაშა მამულის მსხვერპლო, დიდებულო ქართველო“!

როგორც შევნიშნეთ, ქართველი დებუტატები რუსეთის სათათბიროში არაან მომხრენი უღმრთოებისა და ურწმუნოებისა. ასეთი მოქმედების უფლება მათ არა აქვთ, როგორც ერის წარმომადგენლებს. თუ ისინი დაუწმუნებულნი არიან ჩვენი ერის ურწმუნოებაში ძლიერ შემცდარან; ერმა არ იცის მათი ასეთი მოქმედება, თორემ უთუოდ ხმას ამოიღებს. პირიქით, როგორც მთელი ერის წარმომადგენელნი, დებუტატები უნდა იცავდნენ სათათბიროში ქართველ ერის სამოქალაქო და საეკლესიო საქმეებს ისე, როგორც იცავენ სხვა ეროვნებათა და სარწმუნოებათა წარმომადგენელნი. ჩვენის აზრით გომართელი და მის ამხანაგებს სათათბიროში რუსის წარმომადგენლებისათვის და მთავრობისათვის უნდა გაეცნოთ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობა, როგორც მაგალითად სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი ინგლისის პარლამენტში (პარნელი, კონელი და მათი შკოლა); ასე იქცევიან რუსეთის სათათბირო-

ში პოლონელი დეპუტატებიც. ეს გარემოება უსათუოდ გამოიწვევდა რუსეთის წარმომადგენლების თანაგრძობას და საქმეც თან-და-თან გაუმჯობესდებოდა.

ი. გომართელი ისეთი მოღვაწეა რომ ერთ ტაქტს ადგია შინ და გარეთ. აი მისი ტაქტი: ჯერ გამოუცხადა მთავრობას სასტიკი და უშინაარსო ბრძოლა: სათათბიროში ერთს თავის მოციქულს ათქმევინა: პასუხის გებაში მივსცეთ მთავრობაო. ეს მოქმედება მაგონებს ორს მოქიდავეს, რომელთაგან წაქცეული ემუქრება წამქცევს, ამიშვი, აორემ სად წამიხვალო?! მერმე როდესაც ეს ვერ შესძლო, გომართელმა ომი გამოუცხა ღმერთს. პირველი ნაბიჯი ამ დიდებულ ბრძოლისა გადადგა 1905 წელს ივერიის ფურცლებზე; მერმე ზუბალაშვილის მიერ აგებულ სახალხო უნივერსიტეტში, სადაც წაიკითხა დიდებული და მეცნიერებაში (!) თავის არღუმენტაციით შესანიშნავად (!) წოდებული ლექცია „სული და ტვინი“. მერმე კიდევ ქართული ლიტერატურის წამბილწველს და სიტყვიერების გამრყენელ გაზეთებში; „ემშაკის მათრახს“ და „ჩვენს გზაში.“ (პოზიციები კარგი აქვს არჩეული თუ „ბუნებამ“ და „მარქსის“ მადლობა დააცალა და გაუმარჯვა?)

ასეთი მოქმედების მხედველი ქართველი უთუოდ იკითხავს: სად მივყევართ ი. გომართელს და მის ლაშქარს?—ისინი მოგვიგებენ უმჯობესი ცხოვრებისაკენ. მაგრამ როგორი უმჯობესობა და განათლებაა იქ, სადაც უზენობის მეტს ყოლიფერს ხედავ? ნამდვილი ცხოვრება კი იქ უნდა იყოს, სადაც კაცს არ ეშურება თავი თვისი დასდვას მეგობართა თვისთავის; სადაც სიცრუეს, ვეცხლის მოყვარობას, მრუშებას და სხვა მისთანა ბიწიერებას ადგილი არ აქვს. ხოლო იქ კი, სადაც მეთაური ხალხს აამხედრებს და მტრის შემოსევის დროს თითონ ხონისკენ გარბის, სადაც სიცრუემ, სიძულვილმა, მრუშებამ და სხვა ათასმა უბედურებამ თავი იჩინა, კეთილი და ბედნიერი ცხოვრება არ არის და არასოდეს არ იქნება. და ასეთი მოღვაწეები ეკუთვნიან იმ მეორე რიგის მოღვაწეთა ჯგუფს, რომელიც ზემორე დავასახელე და მათი ნაწერები კი იხ-

მარებიან მხოლოდ შხალერ ქვეშ გასაკრავათ, გინდა საპონის ან სხვა რამის გასახვევად საწვრიდომანო ღუქანში. ხოლო ახალთაობის აღზრდა, საუკეთესო იდეალების დახატვა და ბედნიერი ცხოვრების დამყარება მათი საქმე არ არის.

მითამ რა უნდა გააკეთოს ამით გომართელმა? თუ ფიქრობს რომ მეცნიერის სახელი დაირქვას სცდება, ვინაადგან, უკაცრავათ კი არ ვიყოთ, ბევრად უკეთესი მეცნიერი არიან ევროპაში, მაგრამ ღეთაების არ ყოფნა ვერ დაამტკიცეს;—თუ პირადის მტრობით არის ატეხილი ქართველს სამღვდელთაზე და ეკკლესიაზე—ესეც არ ეკადრება განათლებულ ადამიანს, თუ ასეთად მოაქს თავი გომართელს;—თუ ფიქრობს, რომ ამით ახალს ლიტერატურას (უღმერთოებისას) შეექმნი ჩვენში და მით უკვდავ ვყოფ ჩემს სახელსო—ესეც ხომ ცუდი ფიქრია, რადგანაც ასეთი ლიტერატურა ახალგაზღობის ზნეობრივად დამცემია. რუსეთის ნიჭიერი მწერალი ლ. ტოლსტოი რომ ასეთს რამეებს არ გამოსდგომოდა, უფრო მეტს გააკეთებდა რუსეთის სასარგებლოდ. იგი ხომ მოღვაწეობით უხნესია პისარევზე, დობროლიუბოვზე, სკაბინეცკისა და მიხაილოვსკიზე, მაგრამ რომელმა უკეთესი სამსახური გაუწია რუსის აზროვნებას, ეს მკითხველმა გამოიცნოს. ჩვენის აზრით საქები და სადიდებელი ის არის, ვინც საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, აძლევს მას არსებით პურს ცხოვრებისას... და თუ გომართელს ჰგონია რომ ქართველი საზოგადოების არსებითი პური უღმერთოება არის, სცდება, მწარედ სცდება...

ივერიელი.

1908 წ. 1 ივლისი.

ბ ე ლ ი.

ზეცა გაგვიწყრა აღარ სჩანს მზე ქვეყნის მანათობელი, ბნელმა მოიცო სამყარო მნათობთა სრა-სამყოფელი.

ახლო-მანლო.

(დასასრული. *)

დაბნდა ვარსკვლავი ამ ქვეყნად
სხივ სითბოს უხვად მფენელი,
გამეფდა ბნელი სატანის
სიცოცხლის დამამხოველი.

ლაგვენგრა მშვიდად ცხოვრების
ტაძარი მკვიდრად გებული,—
გმინავს უბედო ივერი,
ვით სულმომბძავი სნეული...

კმარა,—გაგვწორდი სიბნელე!
რას დაგეტრიალებ თავზედა?
რათ ჰფარავ მოგვთა ვარსკვლავსა
აღმობრწყინებულს ცაზედა....

ქაიხორა გელოვანი.

15 მაისი 1905 წ.

ვუაღვნი ალექსი ბერს!

იესო ქრისტეს მცნებისა
უარყოფელი ბევრია.
უგნურთა ჯგუფის დამმსხვრევი
ეპოვე ალექსი ბერია.

მისი კალამი ბევრს ზარს სცემს,
უქარწყლებს ბნელსა ფიქრებსა,
მედგრად ამტკიცებს სიმათლეს,—
ამყარებს დიად აზრებსა.

სულ მას დაღადებს დღე და ღამ:
დაძიარდეს ქრისტიანობა,
რწმენა არ იყოს შეღახულ,
მეფობდეს პატიოსნება...

და ამიტომ-ა, რომ ვუძღვნი
სულიერ მამას მადლობას,
ვუსურვებ სიმხნე, ძალ-ღონეს,
ტურფა კალმის მახვილობას!..

დათიკო ტიბაძე.



კის ახსოვს დღეს აკაკის აღმართოკინებელი ლექ-
სები ძველი მამულის შვილების გმირობაზე, მი-
სივე ზნეობრივი წერილები და საძმო შაირები;
ბარათაშვილ — ჭაკჭაკამე — გურიელ — ერისთავების
ნაწერები, ძამულის სიუჟარულზე; გოგებაშვილის
ისტორიული ნაწერებები თავდადებულ ქართვე-
ლებზე; ჟაქას სურათები სამშობლოს ერთგულე-
ბაზე; ხალხის ზნეობრივთ აღმზრდელი, სხვა
და სხვა მწერლების ბელეტრისტული მოთხრობები
და მრავალი სხვა გონიერული ნაწარმოებები? ესენი
თითქო არ სუფევს,—მათი კითხვის ხალისი სა-
ზოგადოდ დაკარგულია და ამა მარგალიტების ნა-
ტყლად თქვენ თვალ წინ იშლება რაღაც ბრუტალიაზ
თადლითები, გონების გამომღაუბელი წერილები,
რომელთაც, როგორც ოქროს, იტაცებს მოზარდი
თაობა და გონია სიმდიდრეს იძენს...

აურაცხელ ამგვარ ნაწარმოებთაგან, მოკაყვან
სანამუშოდ ერთს ლექსს, ამ წლის „ნიმადურის“
მეორე მხრე ნომერში მოთავსებულს. აი, ეს ლექსი:

კ ა ტ ი.

არ მაქვს იმედი
ზენა ძალისა.
მე ჩემი ბედი
თვით მაქვს ნაჭედი —
ვარ შემომქმედი
მომავალისა.

გმუშაობ — დვარი
ჩამომდის ოფლის.
ვარ მეომარი
მეუზოკარი,
თუმც ვარ სტუმარი
ამ წუთი სოფლის.

სოფელი ცრუა,
მას კებრძე მარად.
და ხალხის შუა,
საჭარო თუა

*) იხ. „ზინ. საქმეები“ № 19.

მენტობა ჭკუა
ცნობისა დარად.

რა მინდა? ფული?
არა, ეგ არა.
ცხოვრება სრული
და სიუყვარული
აი რა რთული
მადეკს ბეჯარა.

მე ვკვამ და ღვინოს
მე ვისხამ პირში,
რომ მოძალანინოს
ღონე მოძინოს
გამძლებინოს
უოკელსა ჭირში.

მე ვიკრებ ძაღლებს,
ჩემში ჭედულს ჯანია,
და ტურთა ქალებს
გუგონი თვალებს—
ხშირად მართოდებს
ლამაზი ტანი.

იმას ვესგები,
ვეყურებურები,
ბორკილთ დამსხვრევი
რომ შეგქმნა დევი
ჭკუების გმირები.

და კვლად შრომა
კვლავ სიუყვარული...
რომ ბნელმა დრომა
არ დასდოს ზომა
ისეთი რომა
შებოჭოს სული.

არ მაჭკს იმედი
ყენა ძალისა.
მე ჩემი ბედი
თვით მაჭკს ნატედი
გარ შემოქმედი
მომავლისა.


როცა ამ ლექსს იკითხებოდა, იკითხებოდა ჩემს თავს: ვინ არის ეს უსუსური პოეტი, რომელსაც ასე უწალოდ უწალებია ლექსი მეთქი, მაგრამ როცა ფურცელი გადავბრუნე და ლექსი გითორგი გვაზავასთან სელმოწერილი ვნახე, დიდათ გაკვირდი, ჩემს თავს ვერ ვენდგვი: ბ. გვაზავა უმნიშვნელო ლექსს არ დასწერდა, იქნებ ვერ გავიკეთებ და გადავიკითხე მეორედ და მესამედ, მაგრამ ვერც ერთხელ და ვერც ერთს ტანში ვერ წავაწედი ისეთს რამეს, რომ საუფროდლო უოფილაიფო (ალეგორიული მნიშვნელობაც ვერ ვპოვი) — ეს ლექსი რომ ვინმე „მომძაბის“ გამოხვედრად „პოეტის“ (რომელიც დღეს ქაშისავით გამოვლდა) თავს ეყურებოდეს, მაზე ლამაზი არც-ვი ეღიბებოდა, მაგრამ ბ. გვაზავას ეს არ ეპატიება. ვაცხ, რომელსაც ზენაძის იმედი არა აქვს, ის უოკელთის ასეთი აზრების გამოძისტეკლია და ამიტომ ის-ვი არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბ. გვაზავას თავის ბედი თავისვე ნატედად მიანდეს და მოძალანის შემოქმედით მოჭქონდეს თავი, საკვირველი ის არის, რომ ამ ლექსს სათაურათ „გარდა“ აწერია. ეს სათაური უსიტყვოთ გვეუბნება ჩვენ, რომ ვაცხ საზოგადოთ ცხოვრებაზე ისეთი შესედულება უნდა ჰქონდეს, როგორც თვით ამ ლექსის ავტორს ჰქონდა. ბ. ავტორი, რომელსაც არ ჰქონებია ზენაძის იმედი, ალბათ ქვენაძის იმედით იმდენათ გავადნიერებულა, რომ თავის საკუთარი შესედულება გაუსაზოგადოებრივება. აქო-და ეს ლექსი იმდენად იწერება, რომ საზოგადოდ ვაცხ ის მცნებათ აღიაროს. — უეკეთის იქნებოდა პატრიტედილ ავტორს ლექსზე სათაურათ „მე“ დავწერა და ამით თავის საკუთარი შესედულობა და რქმენა გამოემუდგენება... ნურას ვიტყვით იმასე, რომ საზოგადოდ ეს ლექსი ულახათო და უოკელგვარ ძლეურებას მოკლებულია, ის ქვასავით წამოსროლილია; ნურც იმას დავიჯერებთ, რომ ბ. ავტორს „ცხოვრება სრული“-ს მოსაპოვებლად „ფული არ უნდაღეს“. — ჩაკვეთ იქიდან, სადაც ის „ჭამა-ჩახმაზე“ ამბობს: „მე ვკვამ და ღვინოს მე ვისხამ პირში...“ ღვინოს პირში ჩახმა უხეობა არის და უხრდელობაც... ღვინოს ასხამენ ჭურში, კოკში, კუბრში; პირით-ვი სმენ.. სადაც ითქვა: „ღვინოს ვისხამი“, იქ არც იმას უმაჯარა, რომ თქმულიყო: „სატელს ვაფრიო.“ (ვარგი ზენა-

ბრივი სწავლა!) პატრიარქული აკტორი (თუ „კაცის“ ქვეშ თავის-თავსაც გულისხმობს), ეტუობა, ლეინოს იმიტომ ისხამს პირში, რომ მოაღზინოს, ღონე მოკვინახს, გააძლებინოს უოკელსა ჭირში“ . კერძოები სიბრძნეა! „ჩასხმულ ღვინოს“ არ შეუძლია კაცის მოღვინა, თუ გაგიუბას მოღვინად არ ჩათვლით; მას არ შეუძლია არც ღონის მიფენა, არც ჭირში გაძლებინება; მას შეუძლია სულელურად ასტუნოს „კაცი“, გონება დაუგარგოს და შემდეგ შეკვრივით გააგაროს. ბ. აკტორი „ძაღებს იმიტომ ივრებს და მასში ჟანს იმიტომ სდულს, რომ ტურთა ქალებს თვალბა უგონოს, რადგანაც მას ღამაში ტანი სხიზად ათრთოლებს.“ ეს ცხადია. ამაზე გამოტყეილი აღსარებაც არ შეიძლება. დღევანდელი „რაინდება“ სწავლაოდ სწორეთ ამ მიზნისთვის ივრებს „ძაღებსა და ჟანს.“ შემდეგ? შემდეგ ეს ღვინო ჩასხმულია, ძაღბ მოკვრებადი და ჟანში მეოფი „კაცი“ ღამაში ტანებს „ესვევა-კერუერება, რომ სამშობლოს ბოროლთ დამმსხვრევი და მტრისა დამქრევი მდეკბე შეუქმნას.“ (!) (სიდან იცის აკტორმა, რომ მდეკბეს გაჩენს და არა ბაღვინჯობებს გაამრავლებს?) რა უნდა გამოდიოდეს აქიდან, გარდა სისციდო ოცნებისა?.. „და კვლად შრომა, კვლავ სიუარული.“ — ეს აზრი ღვინის ჩასხმას და ქალებს „კერუერს“ მოსდევს და იმიტომ, სხაბთა გაქვს ვიფიქროთ: „კვლავ შრომა ღვინის ჩასხმისა, — მტრამ პირში და არა ქვეშ, — კვლავ სიუარული ქალებს „კერუერის“, ამავე ტაიზიდან გამოდის, რომ ასეთ საგმირო საქმეებში ვარჯიშობა იმიტომ უოფიდა საჭირო, რომ „ბნელმა დრომა არ დასდოს ზომა ისეთი, რომა შებოჭოს სული.“ (!)

დაბოლოს, პატრიარქულ აკტორს, რომ სხანჯლად არ დაჩენდა პირველ ტაიში მოთესებული ბრილიანტების ერთჯერ დასარჯვა, ბოლოშიაც განუქორება, რომ ამით უფრო განქორება მისი „კაცისთვის“ თავისი შესუდულობა... ამ ლექსში რაც ჭერია, ის იმან ამოაღვას, კისაც მოსწონდეს... აი ნაწარმოები! ერთი პატარა ლექსი და სხვა „სხეობრივი“ სწავლა: უღმრთობა, ღოთობა და მრუშობა! ასეთ სახელმძღვანელოებით გაზრდილი ახალთაობისაგან ახა რა სეირს

უნდა მოკვლოდეთ?... „ნელარ მიიღებ წინხლად მაგ აღს, რაიც ანათებს, მაგ აამ არ ათბობს და სიტუებთან ერთადა ქჭრება.“

კირილე წუთისოფელი.



ქართველ ქალთა საზოგადოებოდ.

(გუძღვნი ევ—ნას)

III.

პირველი თვეები, წელიც და შეიძლება მეორეც, ორთავე შემთხვევაში ბედნიერნი სიყვარულით შეერთებულნი განცხრომაში არიან: მთელი ქვეყანა და ცხოვრება სამოთხედ მიაჩნიათ; ქეთ-მხიარულება, განსხვავებულად სოფელში მისვლა-მოვლა და საზოგადო აღერსი ასრულებს ბედნიერა ნეტარებას. მაგრამ რა არის უცვალბელი და მოუწყინარი ქვეყანაზე? ეს წამებიც გარბის და დგება რეალური ცხოვრება თავის ათასნაირ მოთხოვნილებით. სოფლის დიასახლისს, პირველად ოღნავ და დრო გამოშვებით, და შემდეგ საგრძობლად ხანგრძლივი მოწყენაც ეტყობა, დადის ოჯახში, მაგრამ ადგილს ვერ ჰპოულობს; სოფელი და მისი მშვენიერება ახლა არ იზიდავს ჩვენს განათლებულს დიასახლისს და შინ კი თავს ვერაფრით ვერ იქცევს, რადგანაც მას ოჯახობის არა გაეგება რა. — წინააღმდეგ ამისა ახლა ეს დიდებული მისი ბუდე მას აწუხებს თავის მოთხოვნილებებით, დიასახლისის მოსვლაძდის ბოსტნეულობით, წვრილფეხით და რძე-ყველით სავსე ოჯახი უფრო და უფრო წუწყად ამშვენებს ჩვეულებრივ სუფრას და ან რა გასაკვირია, როდესაც ამ სოფლის ცხოვრებაში მიუცილებელ სამეურნეო დარგებს ნიადაგი და გულმოდგინე თვალ ყური აკლია ბუდის საძირკველისაგან; მოსამსახურების ვალდებულებაა აასრულოს წინადადება, რჩევა და ბრძანება დიასახლისისა და მეტი არაფერი; ბრძანება არ არის, მაშ შესრულებასაც ადგილი არა აქვს და ბოლოს დგება ისეთი დღეები, რომ ობრაბუშს და ჭინძს მქობბლიდვან სესხულობენ და სასალო

ლო ქათამს და ყველს სოფელში ჰყიდულობენ. რა ჰქნას, თქვე დალოცვილებო, დიასახლისმა, ის ნასწავლია, განათლებული, თორემ კრუხი და ძროხა რა მისი საქმეა. ამასთან რაღა დროის კრუხზეა აქ ლაპარაკი, როდესაც მას უფრო დიდი საფიქრებელი აქვს: ღმერთმან ბიჭი ან გოგონა აჩუქა და დედის მთელი არსება ამ სიყვარულის ნაყოფში გადიტანა.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება).



ქრისტიანული აღზრდა ნებისა.

(თარგმანი.)

(გაგრძელება*).

„სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არს (მ. 17, 21.)

სასუფეველი ღვთისა ძალით მოიხვეჭების და ვინც ძალას ხმარობს იგი ღოიხვეჭს მას (მტ. 11, 12.)

აღამიანები ბრიყუულად ფიქრობენ, ვითომ საკმარისია აუხსნათ ბავშვებს რა არის კანონიერი და რა უკანონო, მართებული და უმართებულო და ბავშვები მართებულად მოიქცევიან. ჩვენ მომეტებულ შემთხვევებში, კიდევ არ გვემის, რომ ზნეობრივი სარგებლობა, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოთ აღზრდით, უნდა იყოს შედეგი უფრო გულის, ნების აღზრდისა, ვიდრე გონებისა. მის მაგიერ, რომ ბავშვს ჩააგონოთ, რა არის გლახა და რა არის კარგი, თუ თქვენ აგრძნობინებთ მას ამას, თუ თქვენ აიძულებთ მას (თქვენის ან სხვის მაგალითით) შეიყვაროს სათნოება და შეიძლოს ბიწიერება, თუ თქვენ აძლიერებთ მასში კეთილშობილურს და უჩლუნგებთ მდამიო სურვილებს, თუ თქვენ იწვევთ სიცოცხლისადმი აქნაზდის მიმქრალ საუკეთესო გრძნობას, თუ თქვენ უნერგავთ მას სიმბატურ მისწრაფებას, მაშინ თქვენ ნამდვილად ზნეობრივად ზრდით

*) იხ. „შინ. საქ.“ № 19.

ბავშვს, გამოგყავსთ მისგან აღამიანი. ნემეცი მორალისტი გილტი***) ამბობს: „დიდ პედაგოგიურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ პატარა ბავშვებს უფლებენ თავს რელიგიური სწავლით, ასეთი ხშირი მოვლენა აიხსნება მით, რომ კარგად ვერ შეუგნიათ ი. ქრისტეს სიტყვები. მართალია, ჩვენ ვიკით, რომ იგი გულში იკრავდა ბავშვებს და კურთხევას აძლევდა მას, მაგრამ ვერსად ვერ ვხედავთ, რომ იგი მათგან რამეს თხოვლობდეს ან თავის სწავლას უმარტავდეს, ან სურვილი ჰქონდეს, რომ იგინი მისდევდენ მას.“ (cp. Ев. Мѳ. 18 гл. 2 ст. Мр. 10, 14 — 16 Л. 18, 15—17). იერ. გლ. 14, 3) ბავშვები ძრიელ საჭიროებენ სიყვარულს და კეთილ გრძნობებში, მაგრამ ძრიელ ცოტას რელიგიურ სწავლაში. მათ კი უმეტეს ნაწილად აძლევენ ძალიან ბევრ სწავლას (რაც უფრო ადვილია) და ძლიერ ცოტა მაგალითს სიყვარულისას. და როდესაც ბავშვები ისეთს ჰასაკში შედიან, რომელშიდაც შეუძლიანთ სარწმუნოებთ ისარგებლონ, გამოდის, რომ აქ საშვალეობას სრულებით დაუკარგავს მათთვის თავისი ძალა და მნიშვნელობა.

ეხლა ვნახოთ რა შედეგი მოაქვს ახალთაობისათვის აღზრდის ასე უმართებულო დაყენებას. ლიტერატურაშიაც და საზოგადოებაშიაც ერთხმად სჩივიან ახალგაზღობაში მალალი ინტერესების არ ქონობაზე, იდელების ნაკლულეფანებაზე, ნების სრულ დასუსტებაზე; აღარ არიან მუშაკნი იდეისანი, სინიღისი, მოვალეობა, საზოგადო სიკეთე დავიწყებული სიტყვებია. მაგრამ საიღვან უნდა გამოტყდენ ან მალალი იდელები, ან ძლიერი ხასიათები, ან მტკიცე ნებები? ყანაში რასაც სთესავენ, იგი მოდის. ახალგაზღობა ისეთი გამოდის, როგორსაც ზრდის ოჯახი, სკოლა და თვით კხოვრება მთლიანი, ზნეობრივი ხასიათი, ე. ი. შეუმუსრავი უფლება თავის თავზე, ზნეობრივი თვითმართველობა, დამკვიდრებული გადაქარბება ჩვენ სულში კეთილშობილური გრძნობებისა და ზნეობრივი ცნებებისა ცხოველურ მიღრევილებზე არ არიან თანშობილი თვისებებ ადამი-

**) გილტი „ბედნიერება“ 1 გამოც. 94 გვ.

ანისა. ჩვენი ხასიათები შემუშავდებიან არა ბუნების საიდუმლო ლაბორატორიებში რაღაც უხილავის ძალით, არამედ ჩვენ მიერვე ცხოვრებაში, რომელიც გარშემო გვარტყია. და თუ ახალგაზღობის აღზრდაში, არ ექცევა საჭირო ყურადღება ხასიათის შემუშავებას, ვითარდება ქკუა, ხელოვნება, გემოვნება და არ იწვრთნება ნება,—არც არის ხასიათი, და არც იქნება, სანამ გარემოება არ შეიცვლება.

აქ მე საჭიროდ მიმაჩნია, შევჩერდე შოპენგაუერის იმ მოძღვრების გარჩევაზე, რომელიც შეეხება იმ საკითხს, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს. პესნიმიზმის დიდი ქადაგი ამტკიცებს, რომ ხასიათი ადამიანთან ერთად იბადება და მისი შეცვლა ყოველად შეუძლებელიაო. თავის ასაკის თავის დამოკიდებულების, თავის ცოდნის და შეხედულების ცვალებად კანკვეშ იმალება, როგორც კიბო თავის ქერქში, სრულიად უცვლელი, ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანი. იცვლებიან მხოლოდ ის ფორმები, რომლებშიდაც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გარემოებაში თავს იჩენს ხასიათი, ხოლო თვით ხასიათი არ იცვლება. ერთნაირად ბოროტები შეიძლება ერთი სახრჩობელაზე მოკვდეს და მეორე თავისუფლად თავის ოჯახის კალთაში. ერთი და იგივე სიბოროტე, შესაძლებელია, ერთმა ხალხმა გამოიჩინოს კაცის კვლით, კანიბალიზმით (სიმხეცე, კაცის-შქამლობა); მეორემ სასახლის ინტრიგებით, შეიწროებით, მოხერხებული ხრიკებით, ფრთხილად და კეთილშობილურად კიდევ. ფორმით სხვა და სხვა, ხოლო არსებითად ერთი და იგივე. წყალი ყველგან და ყოველთვის წყალია—იქ, სადაც იგი მთიდგან მოსჩქეფს, იქაც სადაც იგი წყნარად სდგას, ქვაბშიდაც, სადაც სდულს. ამნაირადვე ცხადდება ადამიანის ხასიათი: სხვა და სხვა გარემოებაში სხვა და სხვა ფორმით, მაგრამ არსებითად ერთი და იგივეა. ხასიათის შეცვლა ისეთივე შეუძლებელია, როგორც ოქროს გადაკეთება ალმასათ. როგორც კატას ვერ წავართმევთ თავგების ქერის მიდრეკილებას, ისე ეგოისტს ეგოისტობას ვერ მოვაშლევინებთ. ყოველი კაცი თავთ სხვა და სხვანაირ პირობებში იგივეა, რაც არის და შე-

უცვლელად დარჩება იმავედ. თუ ხასიათის თანდისთან ცვალებადობა და წლითიწლით გაუნჯობესობა შესაძლებელია, მაშინ მოხუცე ბულები შესამჩნევად უფრო სათნოებიანი უნდა იყვნენ, ვიდრე ახალგაზღობი, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის.

ყველა ეს მოსაზრებანი ჯეროვან კრიტიკას ვერ გაუძლებენ. ისინი ამტკიცებენ იმას კი არა, რომ არ შეიძლებოდეს ხასიათის გამოცვლა, არამედ იმას, რომ ჩვეულებრივ არ იცვლება, რომ ადამიანების უმეტესობა არც კი ცდილობს თავის თავის გარდაქმნას. ჩვენ მზადა ვართ გავუდგეთ უკვე გათელილ გზას, თუნდაც მოლობუდი იყოს იგი; ვიდრე გავიკაფოთ ახალი, პაუიოსანი, სახელოვანი გზა. ეშინიათ რა ბრძოლისა და ძალდატანებისა, რაიცა საჭიროა თავისთავად და სხვებთან ცხოვრების უმაღლეს მიზნისთვის, ადამიანები უფრო ადვილად სთმობენ თავიანთ იდეალს, ვინემ ცხოვრების სიაშოვნებას და სიმშვიდეს. თუ დამოუკიდებელ ცხოვრებაში გამოსვლის დროს, საზოგადო სამსახურის ხანებში ადამიანი ყველა იდეალებს, ახალგაზღობის საუკეთესო ოცნებებს ანდერძა აუგებს, რა თქმა უნდა, მოხუცებულობაში აღარ შეიქნება სიკეთის მაგალითი და შოპენგაუერისამებრ, მთელს ცხოვრებაში დარჩება თავის ხასიათის ყურმოჭრილი ყმა. თუ არ არის ხასიათის გამოცვლის სურვილი, თუ არ გავგვლიძებია ზიზლი ბოროტებისადმი, თუ არ ვგრძნობთ მოთხოვნილებას ვიხმაროთ შინაგანი ძალ-ღონე, რომ განვირიდოთ და მოვიშოროთ ბოროტება, მაშინ ხასიათი უცვლელი რჩება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იმის გამოცვლა არ შეიძლებოდეს.—აი, თუმცა შეიძლებოდეს დამტკიცება იმისი, რომ ყოველგვარი ბრძოლა უსარგებლოა, რომ ადამიანს, რაც უნდა მტკიცე სურვილი ჰქონდეს, არ შეუძლია გარდიქმნას, მაგ. თუ ეგოისტს არ შეუძლია ამაღლდეს თავიანწირვამდე, თუ მძარცველს და კაცის მკვლელს არ შეუძლია მოწყალებე სამართლებელი გახდეს, თუ ლორმუცელა კაცს არ შეუძლია მმარხველ მეუღაბნოედ შეიქნეს, მაშინ ეს იქნებოდა მართლა ძვირფასი საბუთი, მაგრამ ამისი მსგავსი-

რომ დავამტკიცოთ, იმის საფუძველი არა გვაქვს. პირიქით ჩვენ ვიცით მრავალი მაგალითები, რომ განსაკუთრებულ გარემოების ზედგავლენით საშიშარი ავაზაკებიც კი ქცეულან ღვაწლ-მოსილ გმირებად და მოუმოქმედებიათ უმაღლესი კეთილშობილური საქმეები, მრავალწმინდათა ცხოვრება, გოლგოთის ავაზაკი, ნეკრასოვის მიძია ვლასი, ცოცხალი მოწმეებია იმისი, თუ რანაირად ანაზღათ იცვლება ადამიანის ხასიათი.

მაშასადამე, ხასიათი არ არის რაიმე უცვლელბელი: ის არის ნაყოფი იმისა, რაც მოგვცა ჩვენ ბუნებამ და იმისა კიდევ, რაც გააკეთა ბუნებისაგან მიღებულ მასალიდან ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებამ და უფროსი კი თვით ჩვენ. ამიტომ, უკეთუ თქვენ ბუნებითვე თანდაყოლილი წყურვილი გაქვთ იდეალისა, წმინდა მისწრაფება ქეშმარიტებისადმი, უკეთუ არ გსურთ, რომ დაიღუბოს ყოლიფერი, უკეთუ არ გსურთ რომ დაიხშოს ცხოვრება, რომ ტალახმა მოსვაროს თქვენი ძვირფასი ოცნებანი, დაამუშავეთ თქვენი ხასიათი, გამოაბრძმელეთ თქვენი ნება იმის სამსახურში, რაც მხოლოდ საჭიროა, რითაც მშვენიერია ცხოვრება და რითაც სკოცხლობენ ადამიანები, მისწრაფეთ საუკეთესო გამარჯვებისაკენ, ეს იქნება გამარჯვება თავის თავზე, თავის ბუნების დაბალ მიდრეკილებებზე. „არაა უფრო სახელოვანი გამარჯვება იმაზე, ამბობს მღვდელმთაფარი ტიხონ ზალონელი, — როგორც არის გამარჯვება თავისთავზე.“ „ვინც თავის თავს იჭერს მორჩილებაში ისე, რომ უხეში ინსტიკტები ემორჩილება გონიერებას და გონიერება კი ყველაფერში ემორჩილება ღმერთს, ის, უმატებს თომა კემპიელი, — ქეშმარიტი მძლეა თავის თავისა და მბრძანებელი ქვეყნისა.

არ დავფარავ, ასეთი ძლევა ადვილი საქმე არ არის, სახარება ამბობს, „სასუფეველი ღვთისა იიძულების“... შრომით მოიპოვება. ზნეობრივი თვით-აღზრდა, სულიერი ბუნების თანდათანობით განვითარება შეადგენს შრომას, რომელიც თხოულობს ჩვენგან დაეინებულს, შეუწყვეტელს მეთვალყურობას და ვარჯიშობას თავისთავზე. ტყუილად კი არ ამ-

ბობდა ნაღვლიანად პეტრე დიდი, რომელმაც იცოდა თავის ბუნების ვნებათა აღვირაშვებულება და თავდაუქტერლობა: „დავაწყნარე სტრელები, ვსძლიე სოფიოს, დავამარცხე კარლოსი, თავისთავის ძლევა კი ვერ შევიძელი“

ზნეობრივად სრული პიროვნება, ეს განხორციელებაა ცოცხალ ადამიანში სიყვარულის და სიმატლის უმაღლეს იდეათა და რამდენათაც მაღალია იდეა, იმდენად მცტი ძალაა საჭირო იმის განსახორციელებლად. რომ სრულიად დავიპყროთ ის, ჩვენი სულიერი ნიჭი მარტო იმას უნდა მოვახმაროთ. საჭიროა, რომ ეს იდეა ნელნელა და ნიადაგ იზრდებოდეს, სხვა იდეებთან შეერთებული მოქმედებით აფართოვებდეს თავის გავლენის წრეს და ხდებოდეს ჩვენი შინაგანი ცხოვრების არსების ცენტრად. ცნობილმა მხატვარმა ივანოვმა, სანამ შექმნიდა თავის შესანიშნავ სურათს: „მესსიის გამოცხადება“, ოც წელზე მეტი იმუშავა იმის ძირითადი იდეის ასახსნელად, ღრმად უკვირდებოდა იმის დედა აზრს, სწავლობდა ყოლიფერს, რაც კი, ცოტათი მიეც, ეხებოდა იმას; აკეთადა აურაცხელ ეტიუდებს.

ე. ჩ.—ძე.

(შემდეგი იქნება).



ბ ა ლ ი შ ი ს კ ი რ ი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, მოთხრობას ვწერდენ? არა. მე მოგახსენებთ ნამდვილ ამბავს ბალიშის, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ყურბალიშის პირზე. იმ ყურბალიშის პირზე, ან უკეთ ვსთქვათ, ყურ ბალიშის პირებზე, რომლებსაც ამზადებენ იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში. ეს ყურბალიშის პირები, არაფრით არ განირჩევიან კერძო სახლში ვაკეთებულ პირებისაგან, გარდა იმისა, რომ იგინი ძრიელ პატარანი არიან და იაფ ფასიანი მიტკლის. ბალიშის პირების კერვის სწავლას მოსწავლე

ქალები იწყებენ მოსამზადებელ კლასიდგან და ათავებენ მეორე კლასში, სადაც სრულდება მთელი ხელოვნება ბალიშის პირის კერვისა და იწყება ახალი ხელოვნება ძუძუ-მწოვარ ყრმათა გულსაფარის კერვისა. სამი წელიწადი სრულიად დიდი არ არის ამ ხელოვნების საფუძვლიანი შესწავლისათვის. პირველ წელიწადს, როგორც მოგვხსენებათ, ბავში ნემსის ხელში დაკავების სწავლას უნდება და კიდევ იმას, რომ თვალში არ ითხაროს ან სხვას. თვალში არ სთხაროს, შემდეგ მოგვძო ყურბალიშით შეკეცილ თხელ მიტკლის ნაქერს მისცემენ და ბეჯითად გააცნობენ, როგორც მოითხოვს თანამედროვე პედაგოგია, თუ რა არის მიტკალი, რა საქროა, რისგან კეთდება, სად იყიდება და რა გამოდის იმ პატარა ნაგლეჯიდან, რომელიც დაურიგეს მათ. შეიძლება ბევრმა სთქვას დედოფალას პერანგო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხელსაქნარის მასწავლებელი ამ ზომამდი არ მიიყვანს საქმეს და დროზე შეაგნებინებს, რომ აქედგან გამოვა უფრო სახმარი ნივთი, ვიდრე სათამაშოა, ე. ი. ბალიშის პირი (ჭეშმარიტად არაფერი იკარგება ქვეყანაზე!). შემდეგ დაიწყება მუშაობა. აქ ახალი თავსაცემი საქმე უჩნდება მასწავლებელს. რომელ მუხლზე დაიდოს მოსწავლემ საკერავი, რომელ ხელში დაიკავოს ნემსი, როგორ გაუყაროს ძაფი, რომელსაც ნუ დაგაიწყდებათ კულის გამოფსკენაც უნდა; საიდგან დაიწყოს კერვა, რამდენი ნემსი ამოუყაროს გაკვეთილზე (ამას სახუმრო გამოანგარიშება არ ქირდება, — ბალიშის პირი მთელი რვა თვის განმავლობაში იკერება!). დასასრულ სწორედ მაისის თვის დამლევს ყველა მოწაფეს აქვს შეკერილი ყურ ბალიშის პირი, რომელიც სათუთუნე ქესათაც გამოდგება საჭიროების დროს, და მოაქვს ოჯახში დედამამის გულქირგადასაყრელად იმ ათი შაურის მაგიერ, რომელიც მათ წარადგინეს სასწავლო — წლის დამდეგს.

გადადის მოწაფე პირველ კლასში. ახალი წლის განმავლობაში ყურბალიშის პირს კერავს, მგონი, იმ განსხვავებით რომ თავის სახელის და გვარის პირველ ასოებს აქარგავს ზედ (მგონი

არა კარგად არ ვიცის). ამ ხელოვნურ ნაწარმოებსაც არ დაიწუნებს პაპა სათუთუნეთ. ყურბალიშის პირი აქედგანაც თან მიჰყვება მოსწავლეს, რომელსაც დიდის თავმოწონებით მიაქვს მშობლებთან იმ ათი შაურის მაგიერ, რომლის უქონლობის გულისთვის, შეიძლება, რამოდენიმე გაკვეთილიც გაუშვას. თუმცა ყურბალიშის პირის კერვა ორა წლის განმავლობაში ზედ ძიწვენით შეასწავლეს ქალიშვილებმა, მაგრამ, ხომ მოგვხსენებათ, ქალის ქკუა თხამ შექამო და თუ ქკუა შექამა, მესხიერებასაც ჩააყოლებდა უთუოდ, ამიტომ საჭიროა ბეჯითი განმეორება ცოტა რამის დამატებით. და აი სწორეთ მეორე კლასში სწარმოებს ეს ბეჯითი განმეორება ცოტა რამის დამატებით. დამატება ბევრი არაფერია, მაგრამ დიდმიწვენელოვანი კია, ეს გახლავთ ხელოვნური „ვივიკები“.

როგორც ხედავთ, პედაგოგიური თანდისთანობა მტკიცედ დაკულია ყურბალიშის პირის კერვაში და თუ სხვა ხელოვნება ასე ბეჯითად ასწავლეს მოსწავლეებს, იმედი უნდა ვიქონიოთ, მერვე კლასიდან ქალები სრული მომზადებული გამოვლენ ოჯახისა და ცხოვრებისათვის ჩვენის მხრით არაფერი დაგვრჩენია მისმეტი, რომ ვისურვოთ მასწავლებლის წარმატება და ძუძუ-მწოვარ ბავშვის გულსაფარის კერვისაც ისე ბეჯითად შესწავლა, როგორც ბეჯითად სწავლობენ ყურბალიშის პირის კერვას.

კინკილეთელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერძისა:
თეორია სიტუაციებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იუილება ქართული ქრესტომატიის — მისავე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.
იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვარცხელიასთან და ვ. ბუკუჩუაშვილთან, თბილისში წერეთლის საზოგადოებაში.